ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №100
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
მომსახურეობის შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 22 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, გამგებელის ტარიელ თუთარშვილის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ,, რაპაკა" –ს დირექტორ კახაბერ გვეტაძეს ქალაქი ქუთაისი წერეთლისა და ჯიბლაძის ქუჩა N35/2 (შემდგომში-მიმწოდებელი) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურეობა. . (საფუძველი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 მაისის N 967–43 მოხსენებითი ბარათი. კლასიფიკატორის კოდი: 79341000 მონეტარული ზღვრების დაცვით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. 2015 წლის 23 მაისის ქორეოგრაფიული ფესტივალის ორგანიზების მიზნით ბანერის დამზადება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

N	მასალების დამზადება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება	შენიშვნები
1	ბანერი (ქორეოგრაფიული ფესტივალისთვის)	$მ^2$	19	20	380 ლარი	მეტალის დასამაგრებელი რგოლებით

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 380 ლარი (სამს ოთხმოცი) ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის ვადები,

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების - აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის №281 ბრძანებით შექმნილი კომისია

9 ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

10..2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

10.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) დღის ვადაში.

10.4. მომსახურების ადგილია ზესტაფონი, უშანგი ჩხეიძის სახელობის დრამატულ თეატრში.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება

შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება

მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების

პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,2%.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.3. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის ბბიუჯეტში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს

შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები,

აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ტარიელ თუთბერიძე

„ს „ლიბერთი ბანკი"

ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა № GE03LB0120177576710000

ს/კოდი: 230087045

მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. 11

მომწოდებელი

შპს „რაპაკა"-ს დირექტორი

ალბერტ ფეფუტაძე

RAPAKA

პროკრედიტ ბანკი

ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი MIBGGE22

ა/ა № GE54PC0013600100045900

ს/კოდი 412704505

მის: ქალაქი ქუთაისი, წერეთლის და ჯიბლაძის ქუჩა N 35/2

ტელ:555 12 21 11

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2015 წლის .22 ....მაისი....

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის №43/281 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს ,, რაპაკა" –ს დირექტორ კახაბერ გვეტაძესთან, 2015 წლის 23 მაისის ქორეოგრაფიული ფესტივალის ღონისძიების ორგანიზებისათვის ბანრების დამზადებასთან 380 (სამას ოთხმოცი) ლარის გადარიცხვის გამო.

ტარიელ თუთარაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

1. ვახტანგ ღამბაშიძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)
2. ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
3. ნიკოლოზ ბარბაქაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
4. გოჩა ჩინჩალაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
5. მაია ხვედელიძე (სამუშაოს ჯგუფის დროებითი წევრი)